

უკ 378 + 349

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული კომპეტენტურობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

ჭილაძე გიორგი

ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია:

საქართველოს სპორტულ საგანმანათლებლო ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოწვეულია საგანმანათლებლო, საკანონმდებლო, მარეგულირებელი მოთხოვნებისა და ბაზრის გავლენით. პროფესიული მმართველობითი საქმიანობისათვის. საჭირო სათანადო ცოდნის დაუფლება არ მოეთხოვება პირს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარვეზს. სპორტულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო გეგმებში, სავალდებულო და საბაზისო კურსების მოდულებში პრაქტიკულად არ ფიგურირებს მმართველობითი ხასიათის დისციპლინები. ისინი არ არის წარმოდგენილი არჩევითი კურსების მოდულშიც. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში შრომის თავისებურებას წარმოადგენს მასში როგორც მმართველობითი, ისე პედაგოგიური მახასიათებლების წარმოდგენა, რასაც უნდა ვითვალისწინებდეთ პროგრამის შედგენის დროს. სპეციალისტს უნდა შეეძლოს: ფიზიკულ-სპორტული საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა, მომსახურების შეთავაზება; ფიზიკური კულტურისა და სპორტის სხვადასხვა ფორმების პროპაგანდა. ამ ამოცანათა გადასაწყვეტად სპეციალისტი უნდა ფლობდეს: ეკონომიკის, ენეჯმენტის, მარკეტინგისა და სამართლის სფეროში შესაბამის ცოდნას და უნარ-ჩვევებს; ცოდნას ფიზიკური კულტურისა და სპორტის პედაგოგიკის, სპორტული წვრთნის თეორიის და მეთოდის სფეროდან; საბაზო და თანამდევ კომპეტენციების გარკვეულ ნაკრებს – უნარებს.

სპეციალისტთა კომპეტენციების დონეების განსაზღვრაში ხარვეზს წარმოადგენს საბაზისო, ძირითადი კომპეტენციების და საერთო პროფესიული კომპეტენციების არასათანადოდ გათვალისწინება. საჭიროა გამოვყოთ საგანმანათლებლო კომპეტენციების შესაბამისი დონეები განათლების შინაარსთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური კულტურისა და სპორტის საგანმანათლებლო პროგრამა, მართვა, პროფესიული კომპეტენტურობა.

ბოლო პერიოდში საქართველოს სპორტული საგანმანათლებლო ინდუსტრია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რაც გამოწვეულია საგანმანათლებლო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნებისა და ბაზრის გავლენით. მნიშვნელოვან სისტემურ ცვლილებებს, - რომლებმაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული პროგრამების განხორციელებაზე მოახდინეს გავლენა, - განეკუთვნება სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სისტემის ცვლილება, პროფილური სასწავლო დაწესებულებების შექმნა და მომხმარებელთა მოთხოვნები.

დღეისათვის საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე 26 აკრედიტებული უნივერსიტეტი, 27 აკრედიტებული სასწავლო უნივერსიტეტი და 4 აკრედიტებული კოლეჯია. გარდა აღნიშნულისა, ასევე არის დაახლოებით 100–მდე არააკრედიტებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ზოგიერთი მათგანი წარმატებით ახორციელებს სპორტულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მათ რიცხვს განეკუთვნება ისეთი წამყვანი უნივერსიტეტები, როგორცაა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ. [1, 2, 3].

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში მართვის ფუნქციების განხორციელება, პროფესიული მმართველობითი საქმიანობა არ განეკუთვნება საქმიანობის ძირითად სახეებს, რაც მოეთხოვება პირს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ. ასეთი ფუნქციების განსახორციელებლად შესაბამისი ცოდნით აღჭურვა განსაზღვრული არ არის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში საუნივერსიტეტო სპორტული განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით დადგენილი სტანდარტით. თუმცა, ჩემი აზრით, სწორედ ეს წარმოადგენს, ზოგადად, ყველა ასეთი მოქმედი პროგრამის მნიშვნელოვან ხარვეზს.

მაგალითის სახით, შეიძლება განვიხილოთ სპორტული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ერთ–ერთი ფაკულტეტი, კერძოდ კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტი. ეს უკანასკნელი ახორციელებს როგორც საბაკალავრო, ისე პროფესიულ (სამთო გიდი, ლაშქრობის გიდი) და უმაღლეს პროფესიულ (სპორტული წვრთნა ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში, სპორტული მენეჯმენტი) სპორტულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ფიზიკური განათლებისა და სპორტის საბაკალავრო პროგრამა (მიმართულებები: გუნდური/ინდივიდუალური სპორტის სახეობის მწვრთნელი და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი) აღნიშნულ ფაკულტეტზე ხორციელდება 2009–2010 სასწავლო წლიდან დღემდე [4].

თუკი მოვახდენთ ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო გეგმების ანალიზს, ნათლად დავინახავთ, რომ მასში ასახულია პედაგოგიური, სტრუქტურული და შინაარსობრივი კომპონენტები.

სასწავლო პროგრამის მიხედვით, მიმართულების - "გუნდური/ინდივიდუალური სპორტის სახეობების მწვრთნელი" კურსდამთავრებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სპორტული საქმიანობა და დაიკავოს მწვრთნელის თანამდებობა, იმუშაოს მეთოდისტად სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებში, სპორტულ კლუბებში, გამაჯანსაღებელ და ფიტნეს კლუბებში. ხოლო მიმართულების - "ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის" კურსდამთავრებული უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სპორტული საქმიანობა და დაიკავოს დაწყებითი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლის შესაბამისი თანამდებობა, იმუშაოს მეთოდისტად სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებში; სპორტულ, გამაჯანსაღებელ და ფიტნეს კლუბებში; აგრეთვე **ადგილობრივ, სამხარეო და საქართველოს სპორტის მმართველ ორგანოებში**. თუმცა, ისმის კითხვა: რამდენად

შეძლებენ კურსდამთავრებულები წარმატებით გაართვან თავი მმართველობითი ფუნქციების განხორციელებას ზემოაღნიშნულ ორგანოებში?

თუკი გავანალიზებთ გუნდური/ინდივიდუალური სპორტის სახეობების მწვრთნელის, აგრეთვე ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მიმართულების როგორც სავალდებულო კურსების, ისე საბაზისო კურსების მოდულებს, შეიძლება ვამტკიცოდ, რომ აქ პრაქტიკულად არ ფიგურირებს მმართველობითი ხასიათის დისციპლინები. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სპორტის ტრენინგის ზოგადი კურსების მოდული, სადაც წარმოდგენილია ზემოაღნიშნული პროფილის მხოლოდ ორი საგანი, კერძოდ: სპორტის მენეჯმენტი და სპორტის სამართალი. ამკარა ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მმართველობითი ხასიათის დისციპლინები არ არის წარმოდგენილი არჩევითი კურსების მოდულში.

ვინაიდან სპორტის სპეციალისტთა კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს პოლიპროფესიონალიზმი, ამიტომ არ უნდა მოვახდინოთ პროფესიული მომზადების მოცემული ასპექტის იგნორირება. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში შრომის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შესატყვისი ზომით წარმოდგენილია როგორც მმართველობითი, ისე პედაგოგიური მახასიათებლები, რასაც უნდა ვითვალისწინებდეთ პროგრამის შედგენისა და მისი განხორციელების დროს. პედაგოგიკური ასპექტი გასათვალისწინებელია, მაგალითად, სპორტული შეჯიბრების მიმდინარეობისას. ასეთი საქმიანობა გაპირობებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლით საზოგადოებაში.

ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებში, შესაბამისი კატეგორიის მუშაკები, ახდენს მმართველობითი ფუნქციების რეალიზებას, რაზეც მეტყველებს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სპორტულ სკოლებში აღნიშნულ პირთა სატარიფო-საკვალიფიკაციო მახასიათებლები. კერძოდ, სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელი-მასწავლებელი სპორტულ სკოლაში, სპორტულ სექციაში ახორციელებს ადამიანთა ჯგუფის შერჩევას, რომელთაც სურვილი აქვთ ივარჯიშონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კონკრეტულ სახეობაში. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს სასწავლო-საწვრთნო პროცესის უსაფრთხოებას; შეიმუშავებს სპორტსმენტა მომზადების მიმდინარე და წლიურ გეგმებს; ახორციელებს სპორტსმენტა სისტემატურ აღრიცხვას, ანალიზებს და განაზოგადებს მუშაობის შედეგებს. შესაბამისად, ექვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ მისი საქმიანობის ეს ასპექტები ჩართულია მართვის ფუნქციათა წრეში.

სპორტული მენეჯმენტი შრომითი პროფესიული საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რაც ფიზკულტურული-სპორტულ ორგანიზაციებში აუცილებლად სჭირდება ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, პროფესიონალ მმართველთა ჯგუფს.

სპორტის მენეჯერი პროფესიულად მომზადებული სპეციალისტია ორგანიზაციის მართვის სფეროში, რომელიც საქმიანობის კონკრეტული სახეების მიმართულებით აღჭურვილია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით. კონკრეტული, ფუნქციონალური ამოცანების გადაჭრა საშუალებას იძლევა, რომ განხორციელდეს ხელქვეითთა საქმიანობის შესატყვისი ორგანიზაცია. სპორტული მენეჯერები კარგად უნდა იცნობდნენ მართვის თანამედროვე თეორიებს, შეეძლოთ ეფექტურად იმოქმედონ საბაზრო ურთიერთობის

არსებულ სისტემაში. მათზე დიდად არის დამოკიდებული სპორტული პროფილის ორგანიზაციის საქმიანობის, – როგორც პროფესიულ–სპორტული, ისე ეკონომიკური, – ეფექტურობა.

აღნიშნული საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტს უნდა შეეძლოს გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1)ფიზიკულტურულ–სპორტული საქმიანობის ორგანიზაცია (შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების, ფიზიკულტურულ–სპორტული მომსახურების შემთავაზებელი ფორმების შექმნა);

2)ფიზიკულტურულ–სპორტული საქმიანობის მართვა (რესურსების ორგანიზება, დაგეგმვა და უზრუნველყოფა, საქმიანობის კონტროლი და კოორდინაცია);

3)ფიზიკულტურულ–სპორტული მომსახურების შეთავაზება (სპორტის შესაბამის სახეში ინსტრუქტორის, მასობრივი ფიზიკულტურულ–სპორტული ღონისძიებების და ტურისტული შეკრებების და ა.შ. ორგანიზატორების სახით);

4)ფიზიკური კულტურისა და სპორტის სხვადასხვა ფორმების პროპაგანდა (მაგალითად, მოსახლეობის დასვენების სფეროში სარეკლამო საქმიანობა).

პირველი ამოცანის გადასაწყვეტად ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტი უნდა ფლობდეს ეკონომიკის და სამართლის სფეროში საბაზისო ცოდნას და უნარ–ჩვევებს. კერძოდ სტუდენტს, სულ მცირე, შესწავლილი უნდა ჰქონდეს ისეთი საგნები, როგორცაა ეკონომიკის და სამართლის საფუძვლები და პრინციპები, ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლები, სამოქალაქო სამართლის საფუძვლები [5].

მეორე ამოცანა გულისხმობს მმართველობით მომზადებას, ანუ კომპეტენტურობას მენეჯმენტის სფეროში. კერძოდ, აუცილებელია ისეთი საგნების დაუფლება, როგორცაა, მაგალითად: სტრატეგიული მენეჯმენტი, ინოვაციური მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, საფინანსო მენეჯმენტი, საკორპორაციო სამართალი.

მესამე ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია იმ ცოდნის, უნარების, ჩვევების და გამოცდილების არსებობა, რაც შეიძლება ფიზიკური კულტურის და სპორტის თეორიის და მეთოდის სფეროდან, აგრეთვე სპორტული წვრთნის თეორიის და მეთოდის, ფიზიკური კულტურის და სპორტის პედაგოგიკის სფეროდან.

მეოთხე ამოცანა უკავშირდება მარკეტინგულ საქმიანობას და მოითხოვს შესაბამის მომზადებას. აქ საჭიროა, სტუდენტი დაეუფლოს ისეთ საგნებს, როგორცაა მარკეტინგი, შრომის ბაზარი, ორგანიზაციული ქცევა და სხვ.

ფიზიკური კულტურის და სპორტის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტთა ძირითად კომპეტენციებში (კომპეტენტურობაში), რომელიც უპირველეს ყოვლისა თავს იჩენს იმაში, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს ადამიანი სამყაროს თავისი პროფესიის მიღმა, მის საზღვრებს გარეთ, შეიძლება გამოვყოს კომპეტენციების სხვადასხვა დონეები და ჯგუფები, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ პროფესიულ საქმიანობასთან. ასე მაგალითად,

საერთაშორისო საქმიანობებისა და პროფესიების ოპერატიული ჩამონათვალის შესაბამისად, სპეციალისტი უნდა ფლობდეს საბაზო და თანმდევი კომპეტენციების გარკვეულ ნაკრებს – უნარებს, რაც აუცილებელია კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად [6, 7].

იმავდროულად, საბაზისო კომპეტენციები ასახულია სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, საქმიანობის სპეციფიკის აღწერის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაერთიანების სახით, რასაც ითხოვს თანამდებობრივი მოვალეობების და პროფესიული საქმიანობების რეალიზაცია [8].

თანმდევი კომპეტენციები, - ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში დასაქმებული თითოეული მუშაკისთვის, - წარმოადგენს დამატებით და ინდივიდუალურ კომპეტენციათა ნაზავს – იგი არის პიროვნების პოტენციალი, შეძენილი გამოცდილება, რომელიც მას საშუალებას აძლევს იყოს წარმატებული პროფესიულ საქმიანობაში.

ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში სპეციალისტთა კომპეტენციების დონეების განსაზღვრაში ხარვეზს წარმოადგენს ერთის მხრივ საბაზისო, ძირითადი კომპეტენციების და მეორეს მხრივ, ჯგუფისთვის საერთო პროფესიული კომპეტენციების არასათანადოდ გათვალისწინება. ალბათ, უფრო მისაღები იქნება თუკი გამოვყოფთ საგანმანათლებლო კომპეტენციების რამდენიმე დონეს სპორტული განათლების შინაარსთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=272 უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2013
2. <http://www.bsu.edu.ge/science/index.php?sec=9&fac=9&step=2> უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2013
3. http://tesau.edu.ge/?page_id=2474 უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2013
4. http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=801 უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2013
5. http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=827 უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2013
6. http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D0%BF%D1%80%D0%BE%D1%84%D0%B5%D1%81%D1%81%D0%B8%D0%B9 უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2013
7. <http://translate.google.com/translate?hl=ru&langpair=en%7Cru&u=http://www2.ed.gov/about/offices/list/ous/international/usnei/us/profrecog.doc&ei=V4ccUZGqJsrsgaKkoGgBg> უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2013
8. <http://tsereteliblog.wordpress.com/2012/11/07/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A/> უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2013